1 ს ნოემბერს. წელიწადი მესამე. 1885 წელსა.

მწყემსი

№ 21.

ორ-კვირეული გამოცემა. არა ოფიციალური ნაწილი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Ксиримы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

რედაქციისაგან მკითხველთადმი.

ამ წარსული ოკტომბრის პირველი რიცხვიდამ ჩვენ გადავდექით მესამე წელიწადში, რაც «მწყემსი»-ს გამოცემა დავიწყეთ. ძნელი წარმოსადგენია თავდაპირველად ყველა ის დაბრკოლება, რომელიც წინ ხვდება თითქმის ყველა დრო გამოშვებით გამოცემას საზოგადოდ და ჩვენში განსაკუთრებით. ძნელი წარმოსადგენია ის გულის ღელვა და ნიადაგი განუსვენებლობა, რომელშიაც დროგამოშვებითი გამოცემათა რედაქტორები ვარდებიან სხვა-და სხვა უჩინარ მიზეზთაგან... ზოგიერთ პირთაგან გამხნევება, რჩევა და თანაგრძნობა თითქმის ერთი ორად გამხნევებს კაცს და ენერგიას გიორკეცებს. მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე მხრით, ზოგიერთი პირების შურიანობა, მალვალაკობა, ხრიკები, უადგილო და უსაფუძვლო მტრობა გულს გიწყლავსთ და ძალას გიკარგავსთ... ჩვენში, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელი კატეგორიის პირნი ხომ მრავალნი მოიძებნებიან!... ვინ იფიქრებდა, თუ იმისთანა გამოცემას, როგორიც არის ჩვენი გამოცემა, «სულის წამაწყმედელ სწავლის გავრცელებას» და სხვათა და სხვათა... დასწამებდნენ?!.. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, გამოჩნდნენ ამისთანა პირებიც და ისინიც, გასაოცრად, სასულიერო პირებში...

გარდა ამისა ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ წინ გვხდებოდნენ იმისთანა დაბრკოლებანი, რომელნიც სხვა რედაქტორებს სრულებით არ შეხვდებათ და ვერც წარმოიდგენენ. ყველამ კარგად იცის, თუ რა გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნი დროგამოშვებითი გამოცემანი ნივთიერად შეუძლებლობისა გამო. რასაკვირველია, ამ გაჭირვებას არ აცდენია ჩვენი გამოცემაც...

ყოველ დროგამოშვებით გამოცემას აქვს სხვა-და სხვა განყოფილებანი. თითოეულ ამ განყოფილებათა ჰყავს თავისი საკუთარი დანიშნული მშრომელი. ამათ გარდა სხვა წვრიმალ რედაქციის და სტამბის საქმეებს ასრულებენ სხვა-და-სხვა პირები. ამით რედაქტორს შემსუბუქებული აქვს თავისი დიდი და მძიმე ტვირთი და შრომა. ჩვენში კი ამას ყველას მოკლებულია რედაქტორი; თითქმის ყოველივე შრომას ტვირთობს მარტო იგი და ყველაფერი მასზეა დამოკიდებული...

რამდენი პირი სწავლობს დღეს სხვა-და-სხვა საშუალო და მაღალ სასწავლებლებში? რამდენი პირი იღებს სწავლას ამ ზემოხსენებულ სასწავლებლებში, მოდიან თავიანთ მამულში, ინიშნებიან ჩინებულ ადგილებზე, იღებენ ბლომათ ჯამაგირს და განისვენებენ? არასოდეს არ ყოფილა ჩვენ საქართველოში იმდენი საშუალო და მაღალ სასწავლებლებში კურს დასრულებულნი პირნი, რამდენიც დღეს არიან. დიდი იმედი გვქონდა ჩვენ და სხვებსაც მათზე დადებული, მაგრამ ჩვენი იმედი და ნატვრა არ დაკმაყოფილდა. მრავალი ამ სწავლა მიღებულთაგნები თავიანთ ნიჭს, ტალანტს არ ხმარობენ რიგიანად და არ ასარგებლებენ თავის მოყვასთა სასარგებლოდ. მათ არ შეუძლიათ თავი გაიმართლონ მით, რომ ვითომც ისინი დატვირთულნი იყვნენ სხვა-და-სხვა მძიმე თანამდებობაებით და საქმეებით. წინააღმდეგ მათ მრავალი მოცლილი დრო აქვსთ და ამისთვის მოწყენილობის გასაქრობად საღამოდამ დილამდის ქაღალდის თამაშობაში ანუ სხვა დროს გატარებაში და ქეიფობაში ატარებენ. არა თუ ლიტერატურულ შრომაში არ ღებულობენ ეს ბატონები მონაწილეობას, არამედ ისიც არ იციან თუ რა და-რა ჟურნალ-გაზეთი გამოდის. ერთ ამისთანა ნასწავლ კაცს გაუხდია კერპად ფულის შოვნა, მეორეს ქაღალდის თამაშობა, მესამეს ქეიფობა და მეოთხეს კიდევ რა, ვინ მოსთვლის... რომ გაგახსენდებათ სამზღვარ გარეთელი ქუჩრები, მზარეულები, ხარაზები და სხვა მოსამსახურეები, გაკვირვებული თქვენ თავს ეუბნებით: ნუ თუ ამ ჩვენმა ნასწავლმა ყმაწვილებმა ამ მოხელეებზე და მოსამსახურეებზე მეტი სწავლა, ცნობის მოყვარეობა და გემო ვერ შეიძინეს? ჭეშმარიტად გასაკვირველია ეს.

ამას ჩვენ მარტო ჩვენი გამოცემის შესახებ არ ვამბობთ. აიღეთ, მაგალითებ, ერთად-ერთი ქართული ჟურნალი «ივერია». რამდენი ჰყავს ხელის მომწერლები და მშრომელები მთელ საქართველოში ამ ჟურნალს? სირცხვილია, არ ითქმის. ამისთანა საზოგადოებაში მყოფ ჟურნალ-გაზეთთა გამომცემლებს, რასაკვირველია, მრავალი დაბრკოლება ხვდებათ წინ.

ჩვენთვის განსაკუთრებით, განგებისაგან იმისთანა ადგილზე მიგდებულს, სადაც თითქმის ერთი კაცის მეტს ვერ ნახავ, რომ მას შენი აზრი განუზიაროს, რასაკვირველია, ერთი-ორად მეტი საძნელოა ეს საქმე, მაგრამ ჩვენ წინეთ გამოვაცხადეთ, რომ მზად ვართ ამ ჩვენგან დაწყებულს საქმეს შევსწიროთ ჩვენი გონება, ქონება და სიცოცხლე; ეს სიტყვები ჩვენ დაუფიქრებლად არ გამოგვითქვამს. ეს სიტყვები ჩვენ ნიადაგ გვაქვს სახეში და მტკიცეთ ვადგივართ...

ამ ბოლოს დროს ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენი სამღვდელოება ზოგიერთ ადგილას მაინც, სამწუხაროდ, თავიანთ სამწყსოს ძლიერ ჩამორჩენია უკან და იმას კი არ ცდილობს, რომ გაუსწორდეს მას გონებით და წინ წაუძღვეს თავის სამწყსოს, არამედ ძილისთვის მიუცია თავი და სრულებით არ ზრუნავს ცოტათი მაინც თავისი გონება გაავარჯიშოს; არ ცდილობენ თავის თავი დაიჭირონ, როგორც შეშვენის მწყემსთა. როდესაც სამწყსონი ხედვენ თავიანთ მწყემსთა ბევრათ ნაკლებს უცოდინარს მათზე, ყოველი გავლენა და პატივი მწყემსთა სამწყსოზე მდაბლდება და ამით სრულებით ეკარგებათ მათ ის მნიშვნელობა და პატივი, რომლითაც ისინი წინეთ სარგებლობდნენ.

აი ჩვენი ძმური რჩევა ამისთანა მოძმეთათვის: აღსდეგით, ძმანო! განიღვიძეთ! ავარჯიშეთ თქვენი გონება შეძლებისა-და-გვარად! დააკვირდით ცხოვრებას! გამოიკვლიეთ ჩვენი ძველი დრო! ეცადეთ ,ყოვლის ღონისძიებით შეისწავლოთ, გამოიკვლიოთ და შეიძინოთ ყველა ის, რითაც ამაღლდება მწყემსი თავის სამწყსოთა შორის. არ შეგიძლიათ გაიმართლოთ თავი, როგორც ზოგიერთები მოჰყვებიან ხოლმე, მით, რომ თქვენ დიდი სწავლა არ მიგიღიათ, ანუ რომელსაც გისწავლიათ, ქართულ ენაზე არ უსწავლებიათ თქვენთვის... ამ სტრიქონების დამწერის სასწავლებელში ყოფნის დროს ქართული ენის სწავლება სრულებით არ ყოფილა და თუ იყო, არავინ ყურადღებას არ აქცევდა. ჩვენ მაშინ არა თუ არ გვასწავლიდნენ ქართულ ენას, არამედ ერთი ქართული სიტყვის წარმოთქმისათვის თითო საათობით დაგვაჭერინებდნენ ხელში ერთ ლიტრიან ქვას და ხელ ამართული თავზევით უნდა გაგვეჩერებია ქვა. განათლების მიღება და ისიც სამშობლო ენაზე, სამშობლო ენის სრული ცოდნა, რასაკვირველია, დიდ სამკაულს და იარაღს შეადგენს მოძღვართათვის, მაგრამ არც ის შეიძლება სთქვას კაცმა, რომ, თუ ფორმალური განათლება არ მიგიღია და სამშობლო ენა სკოლის სკამზე თავიდგანვე არ შეგისწავლია, ვერ შეიძლებ ხალხში ჯეროვანის ნაყოფის გამოღებას, ვითარცა მწყემსი და მოძღვარი ხალხისა. ყოველი ჩვენი პიროვანი სიძაბუნე, სისუსტე, გულ-გრილობა, ცნობის უხალისობა არ უნდა გადავაბრალოთ ხოლმე არც ჩვენი თავის სკოლაში გაუწრთვნელო-

ბას და არც ქართული ენის რომელიმე ოსტატის ხელში სახელმძღვანელოების შეუსწავლებლობას. სკოლას გარეთაც და უოსტატოდაც შეიძლება კაცმა, თუ სურვილი არის და გული გულობს, გონებაც გაავარჯიშოს, ცნობები შეიძინოს და ენაც გაიმახვილოს და გაიმდიდროს; მხოლოდ ამისათვის საჭიროა ჯერ ერთი თანშობილი მისწრაფება სიბნელიდამ სინათლისაკენ, უმეცრებიდამ მეცნიერებისაკენ და მეორეთ შრომის სიყვარული, ტყუილა ყოფნის ზიზღი და საზოგადოდ გულითადი წადილი თავის წუთიერი სიცოცხლისა რაიმე შესამჩნევი საქმეებით აღბეჭდვისა. ჩვენ მარტო ლიტონ სიტყვას არ მოგახსენებ, ფაქტები ხელში გვაქვს ამ გვარი ჩვენი აზრების დასამტკიცებლად. ნეტავი რომელი ქართული ენის სკოლა და კურსი გაიარეს, თუნდ მაგალითად დიდად-მატივცემულმა ყოველად სამღვდელომ ეპისკოპოსმა ბაბრიელმა, ბბ. ილია ჭავჭავაძემ, დიმიტრი ბაქრაძემ, გრიგოლ ორბელიანმა, დ. ყიფიანმა, ნ. ნიკოლაძემ, ზ. წერეთელმა, სერგეი მესხმა, აკაკი წერეთელმა, ნ. ბარათაშვილმა, გ. ერისთავმა, რ. ერისთავმა და სხვათა, რომელთაც თავიანთი ძართულ ენაზე შესანიშნავი ნაწარმოებებით საქეეყნოდ დაამტკიცეს სამშობლო ენის წარჩინებული ცოდნა და შეგნება? ამიტომ ნურავინ ფიქრობს იმას, რომ მარტო სასწავლებლის გათავებით გახდეს კაცი ბრძენი. ძვეყანა სკოლაა და ყველას შეუძლია სიცოცხლის დასასრულამდის ისწავლოს. სწავლა სიბერემდისო, ნათქვამია.

ჩვენის აზრით, საუმჯობესო ქართული ენის შესასწავლი სკოლა არის ხალხთათვის ჩვენი დრო გამოშვებითი ჟურნალ-გაზეთები. ორი წლის განმავლობაში ჩვენ დაწერწმუნდით, რომ ჟურნალ-გაზეთების თვალ-ყურის მდევნელნი რიგიანად შეეჩვიენ ქართულ წერას, როდესაც პირველად ორ სიტყვას ვერ გადაბამდენ ერთი ერთმანეთს. ვნახეთ სამწუხაროდ ერთ ადგილას (შორაპნის მაზრაში) ერთი სემინარიის კურსოვნიკი, რომელსაც თურმე ჩინებულად გაუთავებია თბილისის სემინარიის კურსი. ამ სემინარიელმა დღეს, როგორც იტყვიან ჩვენში, ერთი «ინჩიც» არ იცის რუსული ენისა და წერაც სრულებით დავიწყებია. იმისვე მახლობლად ვნახეთ იმისთანა მღვდელიც, რომელსაც არც ერთი სასწავლებელი არ უნახავს, მაგრამ ბევრად მეტი ესმის და უმჯობესად სწერს და კითხულობს მასზე. რისგან წარმოსდგება ეს? მიზეზი, მე ვგონებ, ცხადია!... რამდენია, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროის სემინარიელებიც, რომელთაც სრულებით გამოსულიათ თავიდამ ასე მოწიწებით და ვაებით შესწავლილი ლათინური და ბერძნული ენები... თვითონაც ძლიერ უკვირთ ეს მოვლენა მათ და ვერ აუხსნიათ, თუ სად გაიპარა ამ ათის წლის განმავლობაში თორმეტ წელში ტანჯვით შესწავლილი ბერძნული, ნემეცური და ფრანცუზული ენები!...

ერთის მხრით გული გვწყდის, როდესაც ხედავთ ჩვენ საზოგადოებაში ამისთანა დაუდევნელ სასულიერო და საერო პირთა, მაგრამ მეორეს მხრით გული დაგიწყებსთ სიამით ცემას და იმედი გეძლევათ, როდესაც იმისთანა პირებსაც ხედავთ, რომელნიც გულით და სულით ცდილობენ თავიანთი თავის, მომმეთა და მოყვასთა გონებით ამაღლებაზე და თვალ-ყურს ადევნებენ ამ წუთი სოფლის ცხოვრებას და მის წაღმ-უკუღმა ბრუნვას. მადლობა ღმერთსა, ამისთანა პირებიც არა ერთია ჩვენ საქართველოში.

არ შეგვიძლია ჩვენ აქ გულითადი მადლობა არ გამოუცხადოთ იმ პირთა, რომელთაც ძმური თანაგრძნობა აღმოგვიჩინეს ჩვენ ჩვენგან დაწყებულ საქმეში და სახელდობრ: საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის წევრს მამა არქიმანდრიტ გრიგორის (დადიანს), ბლაღ. მღვ. სამსონ ანჯაფარიძეს, ბლაღ. დეკანოზ სიმონ ბეგიევს, ბლაღ. მღვ. ზაქარია გძელიევს, ბლაღ. მღვ. გიორგი ბერიძეს, ბლაღ. მღვ. ილარიონ ბერსამიას, ბლაღ. მღვ. სიმონ ელიავას, ბლაღ. მღვ. ერმალოზ მეფხვაძეს, ბლაღ. დეკანოზ. მიხეილ მეუნარგიას, ბლაღ. მღვ. ერასტი მაკარაძეს, ბლაღ. მღვ. ბესარიონ ჩხენკელს, ბლაღ. მღვ. იოსებ ჭეიშვილს, ბლაღ. მღვ. იოსებ ქიკაჩეიშვილს, ბლაღ. მღვ. ოქროპირ ქაჭახიძეს, ბლაღ. მღვ. ლუკა ჭიპაშვილს, ბლაღ. მღვ. იოსებ წერეთელს ბ. მ. დეკ. ალექსი ჭიტნაძეს, ბლაღ. მღვ. მიხეილ მჭედლიძეს.

ამასთან ღრმა გულითად მადლობას ვსწირავთ საქართველოს ექსარხოსს არქიეპისკოპოსს პავლეს, რომელმანც დიდი შემწეობა აღმოგვიჩინა «მწყემსის» დაარსების საქმეში.

ვფიქრობთ, რომ შემდეგში მრავალნი სხვანიც წაბაძვენ ზემოხსენებულ პრთა საქებ საქციელს და თავიანთ თანაგრძნობით და რჩევით ერთად ჩვენთან მიიღებენ მონაწილეობას ამ საზოგადო საქმეში.

ჩვენ ნიადაგ სახეში გვაქვს ხელის-მომწერთა და მკითხველთა საზოგადოების გონებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილება განსაკუთრებით ნწყემსთა და ამასთან ეცდილობთ, რომ ჩვენი პროგრამმა მტკიცეთ აესრულოთ. ამისათვის მომავალი წლიდამ «მწყემსი» გამოვა თვეში სამჯერ ქართულს

ენაზე და რუსულზე თვეში ორჯერ. სივრცე ორივე გამოცემას მოემატება თორმეტი გვერდი თვეში. რადგან «მწყემსი» თავის რუსული დამატებით თვეში თითქმის ხუთჯერ გამოვა, ამისთვის ჩვენ განვიზრახეთ მომავალი წლიდამ შესანიშნავი ტელეგრამების ბეჭდვა მასში. ამასთან ყოველ ნომერში იქნება სიტყვანი და მოძღვრებანი წინა დღესასწაულებისთვის დამზადებულნი, რომლითაც ყველა მღვდელს შეუძლია ისარგებლოს. ამის გარდა ჩვენ განვიზრახეთ მომავალი წლიდამ მოკლე გიგიენური და სამკურნალო შინაარსის სტატიების ბეჭდვაც, რომელიც ასე მიუცილებელი საჭირო არის ჩვენი ხალხისთვის ექიმის სიძვირისა გამო. ხელის მოსაწერი ფული როგორც რუსულზე, ისე ქართულ გამოცემაზე დარჩება ისევ ის, რაც ამ წელში იყო დანიშნული, იმ აზრით, რომ ყველა მსურველმა ადვილად და გაუჭირველად შეიძლოს გაზეთის გამოწერა.

ამასთან ვსთხოვთ ყველა მომავალი წლის ხელის მომწერთა დააჩქარონ თავიანთი სურვილის განცხადების გამოგზავნა. ეს ძლიერ საჭირო არის რედაქციისათვის, რომ მან შეიძლოს თადარიგის დაკავება «მწყემსის» ნომრების საკმაო რიცხვის დაბეჭდვაზე და ბანდეროლების დამზადება მოასწროს თავის დროზე.

მოგზაურობა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, არქიეპისკოპოსის პავლესი, საქართ. ექსარხოსისა თბილისიდამ ბიჭვინტამდი და ძველი ბიჭვინტის სობოროს კურთხევა.

(დასასრული)

ბიჭვინტის სობორო იმდენად შესანიშნავია, რომ ღირს მაზედ ცოტა შევჩერდეთ და დაწვრილებით მოუთხროთ მკითხველს ყველა ის, რაც დღემდის გამოუკვლევიათ და შეუტყვიათ ამ სობოროზე. ბიჭვინტას, რომელსაც ბერძნულად ეწოდება პიტიუსი და ქართულად ბიჭვინტა, მდებარეობს სამი ვერსტის სიშორეზე ბზიბის წყლიდამ მარცხნივ მხარეზე. ეკკლესია ძლიერ ახლოს არის ზღვაზე. ეკკლესიის კედლიდამ რამდენიმე ნაბიჯზე არის ამოთხრილი ჭა ორი არშინის სიღრმეზე, და შიგ მშვენიერი წყალი არის. ამბობენ, ეს წყალი გამოყვანილია რომელიღაცა მთიდამ, მაგრამ არ იციან კი, საიდამ არის მოყვანილი, ან რა დროიდამ. ბიჭვინტის სობორო კარგი და მტკიცე პლანის არის, მაგრამ გარეგანი შეხედულება მაინც-და-მაინც ისე ლამაზი არა აქვს, როგორც არიან ზოგიერთი ქართველების და სომხების ეკკლესიები. კედლები რამდენიმე ქვით არის ნაშენი და რამდენიმე აგურით, მაგრამ მაშინდელი აგური ეხლანდელს სრულებით არ ჰგავს. ძველი აგური ზოგიერთ ქვაზე უფრო მაგარია. შიგნით ეკკლესიაში თაღები აგურით არიან გადაყვანილნი. გუმბათი არის დამკვიდრებული ოთხ სვეტზე. გუმბათი სპილენძით ყოფილა გადახურული, მაგრამ ბოლოს დროს გადუხდიათ და წაუღიათ ვიღაცა ბოროტ პირებს. ეკკლესია არის ძლიერ ვრცელი. მრავალ მლოცველთ შეუძლიათ შიგ დადგომა. ათ არშინის სიმაღლეზე კედლებში, არის გალერეიასავით მოწყობილი, სადაც მრავალ ხალხს შეუძლია დადგომა წირვის დროს. აქედამ ხალხი დასჩერებია ძირს მდგომარე ხალხს და ეკკლესიის მოსამსახურეთა. იკონოსტასი არის ქვით-კირისა. ტრაპეზი აქვს ძლიერ ვრცელი. კათოლიკოზის დასაბრძანებელი აღმოსავლეთით კიბის ხუთ საფეხურის ზევით არის. აქეთ-იქით მღვდელთა დასასხდომი ადგილები ქვისაგან არიან გაკეთებულნი. ტრაპეზი დიდია. ამ სობოროში ტრაპეზი წინეთ ყოფილა გაკეთებული მარმარილოს ქვისაგან, მაგრამ ეხლა აღარ არის ის ტრაპეზი, რომელიც წინეთ მოგზაურებს უნახავსთ. ტრაპეზს ქვეშ, ბალავერში რაღაცა სასიარულო არის მოწყობილი, მაგრამ არ იციან, თუ რისთვის ყოფილან ეს სასიარულოები მოწყობილნი მიწაში. ტრაპეზს აქეთ-იქით აქვს მიშენებული ეკვდერები, რომლებშიც, როგორც ვფიქრობთ, სამწირველოები უნდა ყოფილიყოს. კედლებზე აქა-იქ ორ ადგილას მოჩანან ძველი მხატვრობანი, დანაშთენი კედლები თეთრად შეულესავთ.

დასავლეთის მხრისკენ, ეკკლესიის შესავალში არის ცალკე სტოვა, რომელშიაც არის ვიღაცა უცნობი გარდაცვალებულის საფლავი ზედ ბერძნული წარწერით: მოიხსენე უფალო მოსამსახურე ღვთისა . . . . რომელმან დააფუძნა ეს ტაძარი და ააშენა გუმბათი კათოლიკოზობის დროს ევდემონოსისა. წელი ქორონიკონსა ზ. ევდემონის სახელით ცნობილი არიან ორნი კათალიკოსნი: ევდემონ ჩხეტიძე, გარდაცვლილი ჩფოჵ წელში, და ევდემონ საყვარელიძე, რომელმაც დაიკავა ტახტი აფხაზეთის კათოლიკოსისა ჩქჲვ. წელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ამბობენ, ამ მიშენებულ სტოვაში ყოფილა დამარხული წმიდა მოციქული ანდრია, რომელმაც უქადაგა ქრისტეს სწავლა ხალხს დასავლეთ საქართველოში და შავი ზღვის პირებზე. ბიჭვინტის ტაძრის აშენებას მიაწერენ, როგორც წინეთ მოვიხსენიეთ, ბიზანტიის იმპერატორს იუსტინიანეს მეექვსე საუკუნეში. ისტორიული მოთხრობა ამბობს, რომ იმპერატორმა იუსტინიანემ გაავრცელა ქრისტეს სარწმუნოება გაველურებულ აფხაზთა შორის და აღუგო მათ ეკლესია ღვთის მშობლის სახელზე ბიჭვინტაში, გაავრცელა მათში ქრისტიანული წესები და დაუნიშნა მათ მღვდლები. ბიჭვინტა შეიქნა უფრო დიდებული მეთოთხმეტე საუკუნიდამ. ამ საუკუნიდამ აქ იყო განსაკუთრებითი პატრიარქი, რომლის უფლება გავრცელებული იყო მთელ საქართველოში: იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, სვანეთში და აბხაზეთში. ბიჭვინტას ჰქონდა აუარებელი მამულები და გლეხები, შეწირულნი მეფეთა და მფლობელ თავადთაგან. სხვა-და-სხვა დროს იმერეთის და ქართლის მეფეთაგან და დადიანთაგან შეწირული გლეხების რიცხვი ბიჭვინტის სობოროს სასარგებლოდ ადიოდა რვაას კომლამდე და ოთხმოც ათას სულამდე. ბიჭვინტა იყო პირველი საკათოლიკოსო ადგილი. აქ იკურთხებოდა წმიდა მირონი და რიგდებოდა ყველა ეკლესიებზე. აქ დაესმხოდათ სამღვდელ-მთავრო პირებს ხელი და აქედამ იგზავნებოდენ დასავლეთ საქართველოში. ნამდვილად არ არის შეტყობილი ის დრო, თუ როდეს დაეცა ეს შესანიშნავი ადგილი და როდეს დაჰკარგა თავისი დიდი მნიშვნელობა ბიჭვინტის ქათოლიკოსმა. საფიქრებელია, რომ ბიჭვინტამ მაშინ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, როდესაც მუსულმანები, თათრები პირველად გაძლიერდნენ შავი ზღვის პირებზე და როდესაც შემდეგ ლევან დადიანის გარდაცვალებისა მოხდა არეულდარეულობა და როდესაც აფხაზეთის და სამეგრელოს მფლობელ თავადებმა დაიწყეს ჩხუბი და მტერობა ურთი-ერთ შორის მეჩვიდმეტე საუკუნეში. ამ უბედური არევ-დარევის გამო აბხაზეთის კათოლიკოსები თუმცა იწოდებოდნენ ბიჭვინტის კათოლიკოსებად, მაგრამ წელიწადში მხოლოდ ერთხელ წავიდოდნენ ერთად ეპისკოპოსებით და თავადებით შესასრულებლად მირონის კურთხევისა, თორემ მთელი წელიწადი სხვა უფრო მყუდრე ადგილას იმყოფებოდნენ.

ბოლოს-სულ გაუქმდა ეს შესანიშნავი სობორო და დადუმდა ქრისტეს სჯულის ქადაგება მასში. მეთოთხმეტე საუკუნიდამ მეთვრამეტე საუკუნემდის აქ ირიცხებიან თვრამეტი ქათალიკოსნი. მათში უკანასკნელია მაქსიმე. შემდეგ ისე გავერანდა ეს ადგილი, რომ უკანასკნელი მღვდელიც აღარ დაშთენილა იქ. დადუმდა ქადაგება მღვდელ-მთავართა, მაგრამ ამ სარწმუნოებას უქადაგებდა ხალხს ტაძრის კედლები. ამ სობოროს შენობა მტკიცედ და შეურყევლად იდგა.

პირველად განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მოინდომა მისი განახლება და მიანდო ეს საქმე ერმალოვს, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო არ შესრულდა. ბიჭვინტის სობოროს განახლებაზე მრავალს ფიქრობდა განსვენებული იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძეც. ბოლოს ეს სობორო განახლდა მისი იმპერატორებითი უმაღლესობის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნამესტნიკობის დროს ერთი კეთილ მორწმუნე პოლკოვნიკის ვორონოვის თაოსნობით და მეცადინეობით. ეს პირველად განახლებული ეკლესია იყო ნაკურთხი 28 სეკტემბერს ჩყჲთ-ს წელსა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან. ამ დროიდამ დაიწყო წირვა-ლოცვა ამ ტაძარში და ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა.

დადგა ჩყოვ წელი. ამ წელში გამოუცხადა ომი რუსეთის იმპერატორმა სათათრეთს სლავიანების განთავისუფლებისათვის. თათრებმა მიაშურეს თავიანთი ჯარით აბხაზეთს მხარეს, სადაც მათ ეგულებოდათ გათათრებული დიდი ხნიდამ აბხაზები. აქ მოუსვა თათრის ჯარებმა ხელი ყველა აფხაზებს განურჩევლად და გადაასახლა ისინი სათათრეთისკენ. საცოდავი აბხაზები აიკლეს. სინი აღარავის დაუზოგავს. დაშთა გავერანებულად მთელი აბხაზეთი. მაგრამ ძველი მტკიცე ქვითკირის ეკლესიები შეურყევლად დაშთნენ. მათში ეს ბიჭვინტის სობოროც ხელუხლებლად დაშთა გარდა მისი იკონოსტასისა და სახურავისა. უმაღლესი ბრძანებით ეს სობორო გარდაეცა თავისი მშვენიერი ადგილებით ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერს. ამ მონასტრის ბერებმა გაუკეთეს სახურავი ამ სობოროს, გამოიწერეს ხატები, შეამკეს ის მშვენიერი სამკაულებით და განაახლეს. ეზოშიც აგრეთვე განაახლეს და შეაკეთეს სხვა შენობებიც...

აი წარსულ სეკტემბრის სამს რიცხვს მოხდა ამ განახლებული ბიჭვინტის ძველი სობოროს კურთხევა დიდის ცერემონიით. წინა ღამეს ღამისთევით ცისკარი შეასრულა თვით მწემსთ-თავარმა კრებულითურთ. წირვამდის შესრულდა ეკლესიის კურთხევა.

ეკკლესიის კურთხევაში და წირვაში მიიღეს მონაწილეობა: ბლაღოჩინმა დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა, ახალი ათონის მონასტრის იღუმენმა იერონმა, ხიონის კათედრის სობოროს კლიუჩარმა გრიგოლ პეტრიევმა, ამ სტრიქონების დამწერმა, ბლაღოჩინმა მღვ. იოსებ ბერძენოვმა და ორმა ათონის მონასტრის მღვდელ-მონაზონებმა. ეკკლესიის კურთხევის გათავების შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოის ექსარხოსმა, არქიეპისკოპოსმა პავლემ წარმოსთქვა მშვენიერი მჭევრ-მეტყველური სიტყვა.

ტაძრის კურთხევის შემდეგ დაიწყო საღმრთო ლიტურგია, რომლის დასაწყისს მობრძანდა მისი ბრწყინვალებაც მთავარ-მართებელი სამოქალაქო ნაწილისა კავკასიაში, თავადი ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი.

ღვთის მსახურების შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ და მისმა ბრწყინვალებამ დაათვალიერეს ტაძარი და მის გარეშემორტყმული შენობები, შემდეგ, ნაშუადღევის ორ საათზე, მიიღეს მონაწილეობა ძმურ ტრაპეზში; ტრაპეზის დროს მისმა ბრწყინვალებამ წარმოსთქვა მათის იმპერატორებით დიდებულებათა და მემკვიდრის ცესარევიჩის ძვირფასის სიმრთელისათვის სადღეგრძელო, რომელიც ალტაცებით იყო მიღებული და რომელსაც მოჰყვა საგალობელი «ღმერთო მეფე დაიცევ» (Боже царя храни). შემდეგ ამისა მაღალ ყოვლად სამღვდელო მეუფის მიერ წარმოითქვა სადღეგრძელო უავგუსტოესის (ქტიტორის) მნათის ახლად ნაკურთხის ბიჭვინტის ტაძრისა, ხელმწიფის დიდის მთავრისა მიხეილ ნიკოლოზის ძისა და მეუღლისა მისისა, ხელმწიფა დიდი მთავრინა ოლღა თეოდოროვნისა.

სადღეგრძელოს წარმოთქმის წინ მისი იმპერატორებითი დიდებულების დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა, მაღალ ყოვლად სამღვდელო პავლემ წაიკითხა ბორჯომიდამ ტელეგრამმა, რომლის ღირსიც მისმა დიდებულებამ გახადა იღუმენი ახალი ათონის მონასტრისა, მ. იერონი.

«ძლიერ მადლობელი ვარ სიყვარულობითი დაპატიჟებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მე არ შემიძლია მოვიდე თქვენს დღესასწაულობაზე. მაინც გულ-წრფელად მოხარული ვარ, რომ მოვესწარით მშვენიერი ძველი ბიჭვინტის ტაძრის განახლებას.»

«მიხაილ».

შემდეგ წარმოითქვა სადღეგრძელოები უწმიდესი სინოდის წევრთა, საქართველოს ექსარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პავლესი, თავადის მთავარ-მმართებლისა, უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის კ. პ. პობედონოსცევისა და იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო გაბრიელისა, რომელმაც, ავად-მყოფობისა გამო, ვერ შეიძლო მოსვლა ბიჭვინტაში, რათა მიეღო მონაწილეობა ტაძრის კურთხევაში, ყველა მღვდელ-მსახურთა, რომელთაც შეასრულეს კურთხევა, ქველ-მოქმედთა მონასტრისა და ყოველ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა. ბოლოს მისმა ბრწყინვალებამ თავადმა მთავარ-მმართებელმა წარმოსთქვა სადღეგრძელო მონასტრის წინამძღვრისა და მისი ძმობისა.

მისმა ბრწყინვალებამ თავადმა მთავარ-მმართებელმა თავის სიტყვაში, რომელიც მან მიმართა სუფრაზე დამსწრე პირთ, გამოსთქვა თავისი კმაყოფილება ტაძრის კურთხევის გამო, გამოუცხადა თავისი მადლობა მონასტრის წინამძღვარს და მის ძმობას მისთვის, რომ ისინი ემსახურებიან არა მარტო სარწმუნოების საქმეს, არამედ საქმესაც ცივილიზაციისასა შთანერგვით ადგილობრივს აბხაზებში საფუძველთა შრომის მოყვარეობისა, მეურნეობისა და სხვ.

იმავე დღეს, საღამოს, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა და მისი ბრწინვალება ბ. მთავარ-მართებელი ბიჭვინტიდგან გამობრძანდენ «პუშკინ»-ის პარახოდით. დილის 7 საათზე, 4 სეკტემბერს, ისინი მშვიდობით მობრძანდენ ბათუმში, საიდგანაც რიონის სტანციამდი მოდიოდნენ ერთად და ამ სტანციიდგან კი მაღალ ყოვლად სამღვდელო წაბრძანდა ტფილისში და თავადი მთავარ-მმართებელი— ქუთაისში.

ამით ვათავებთ ჩვენ ამ მოგზაურობის აღწერას. ჩვენს დღეში არასოდეს არ გვიგვრძნია ერთად სიხარული და მწუხარება, როგორც ამას გვრძნობდით მთელ ამ მოგზაურობის დროს. ვისი გული არ შეწუხდება, როდესაც დაინახავს ამ უშველებელ გაუქმებულ ტაძრებს, გავერანებლს და უმრევლოს! სად არის ის ხალხი, რომელიც აგებდა ამ უშველებელ ტაძრებს და მასში აქებდა და ადიდებდა ჭეშმარიტ ღმერთსა. ეს შესანიშნავი ხალხი დასცა, გაარხრა, გააუსჯულა და დალუპა სათათრეთმა ამ დაუძინებელმა ყოველ ადგილას ქრისტიანობის მტერმა. მთლად სავსე იყო ეკკლესია მლოცველებით, მაგრამ ამ ხალხში აქა-იქ შენიშნავდით ერთ ათს-თუთხმეტს აფხაზს; დანარჩენი სულ რუსები იყვნენ. ამ სურათების დანახვა ვის არ შეუწუხებს გულს?.. მეორეს მხრით, როდესაც თქვენ ხედავთ ამ გავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანებულ ეკკლესიებს განახლებულს და მათში ისევ წირვა-ლოცვას გაჩაღებულს, რასაკვირველია, სიხარულს გრძნობთ და იმედი გეძლევათ, დანაშთენი ხალხის მომავალზე...

გულით და სულით ვისურვებთ ახალი ათონის ბერთა თავიანთ მოციქულებრივი დანიშნულების კეთილად შესრულებას და საქმის დაგვირგვინებას. ჭეშმარიტად მათი ღვაწლი დაგვირგვინებულ იქმნება ცათა შინა, თუ მათ ადგილობრივი დაკარგულნი ცხოვარნი მოაქციეს გზად ჭეშმარიტებისად და აღმოუჩინეს მათ კეთილი და მზრუნველოვანი მწყემს-მოძღვრება...

სომხეთიდამ.

ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ძალიან ცოტა წერებულა სომხეთზე, თუმცა ამ მხარეში ბევრი რამეა საყურადღებო. ამიტომ მინდა განუზიარო მკითხველს ის, რაც ვნახე და გავიგონე სომხეთში ჩემი მოგზაურობის დროს.

ამ საქართველოს მხარეს სომხეთს ეძახიან, მაგრამ ნამდვილი სახელი უნდა ყოფილიყო სამხრეთი. ამის თაობაზე 1881 წელში იყო ლაპარაკი. ერთმა სომხის ეპისკოპოსმა ამის შესახებ წერილიც დაბეჭდა. ამ წერილში ეს ეპისკოპოსი სწერდა, რომ ქართველთ ჰაოსიანთათვის სომხეთი არ უნდა ეწოდებიათო; ეს სახელი, სწერდა ის, უნდა იყოს გადაკეთებული სიტყვა სამხრეთისაგანო, რადგან ქართველნი ამ მხარეს ძველათ «სამხრეთს» უწოდებდენო. ამ წერილის შესახებ 1882 წელში გაზეთ «დროებაშიაც» იყო ერთი შენიშვნა, რომლის ავტორი ამასვე ამტკიცებდა. პატივცემული ავტორი ამას ამტკიცებდა იმიტომ, რომ საქართველოს ძველ ისტორიულ წერილებში ეს მხარე ყველგან იწოდება სამხრეთად და არა სომხეთად.

ეს საქართველოს სომხეთი ანუ სამხრეთი თავის მდებიარობით მშვენიერს სურათს წარმოუდგენს კაცსა. აქ არის ერთი დიდი მთა სახელად ქოროღლი. რომლის წვერიდგან კაცი მთელს კავკასიას დაინახავს. ამ მთას თავის ისტორიაში ვახუშტიც იხსენიებს. ამ მთაზე არის აშენებული ქოროღლის ციხე. მე ავედი ამ ციხის დასათვალიერებლად და, მართლა, აქედამ დავინახე კავკასიის მთები და მათ შუა მომწყვდეული ჩვენი ტურფა და საყვარელი საქართველო, რომლის სიმშვენიერე და სიტურფე იყო ხოლმე ხშირად მისი უბედურების და მრავალ გზის აოხრების მიზეზად. სომხეთი შემკობილია ტყით, მინდვრებით, წყაროებით და ვენახებით.

ამ მხარეს შეადგენენ შემდეგი უმთავრესი სოფლები: ერტისი, ვაშლოვანი, ბორბალა, ლოუბანი, ასურეთი, თელეთი, კოდა, კუმისი, მარაბდა, ბოგვი, ტაბახმელა, მინდისი, წავკოსი, ზალას ყური, დურნუკი, მუსათი, ვარდის-უბანი, ენაგეთი, ფარცხისი, შავსაყდარი, არაშენდა, სამშვილდე, წინ წყარო, კუბისი და მრავალი სხვა სოფლები. თითოეული სოფელი აქ ისე დიდი არ არის, როგორც კახეთში.

ამ მაზრის მცხოვრებთა უმეტეს რიცხვს შეადგენენ ქართველი გლეხ-კაცები. ზოგიერთ სოფლებში სცხოვრებენ სომხების სარწმუნოების აღმსარებელნი გლეხებიც. აქ მცხოვრებთა ზნე, ჩვეულება და სახლის მოწყობილება იგივეა, რაც სხვა ქართველებისა, სამშობლო ენაც ქართულია. ამ ბოლო დროს ზოგიერთ თბილისელ «პატრიოტ»-სომხებს უმოქმედნიათ აქაურ ზოგიერთი სოფლების მცხოვრებ გლეხებზე და შთაუგონებიათ მათთვის, რომ თქვენ სომხები ხართო და ეს მხარეც სომხეთიაო. ამ გვარი შეგონებით საქმე იქამდის მისულა, რომ ზოგიერთებს დაუწყიათ ქართველ გლეხთა შევიწროება და დევნა. ამ გვარი დევნით სოფელ შინდისიდგან მთლად გაურეკიათ ქართველი გლეხები გარდა ხუთი კომლისა, რომლებისათვისაც ვერა დაუკლიათრა. მაგრამ ბოლოს მათთვისაც გამოუცხადებიათ, რომ თქვენს აქ ყოფნას ჩვენი ხატი არ ჰყაბულობსო და აქედამ უნდა წახვიდეთო. ეს საწყალი გლეხებიც ამდგარან, გაუყიდნიათ თავიანთი სახლ-კარი და თბილისში გადმოსახლებულან. მათი მამული სომხებს შეუსყიდიათ. ეხლა ამ ხსენებულ სოფელში მარტო სომეხთა აღსარების გლეხები სცხოვრებენ და იმედია, რომ სომხის პატრიოტები ანნა ქალაქის კედლებს აღადგენენ აქ და «წიწერნანკას» ხმასაც მოჰფენენ.

სასოფლო სკოლების რიცხვი აქეთკენ ძალიან მცირეა. მთელს ამ მხარეში მხოლოდ სოფელ ერტისში არის ერთი სკოლა, რომელიც ამ ცოტა ხანში გაუკეთებიათ. შარშან სოფელ ვაშლოვანშიაც აუშენებიათ სკოლა, მაგრამ დღესეც ეს სკოლა მოუწყობელია. სხვა ორ სოფელშიაც შესდგომიან სკოლის შენებას, მაგრამ მალე მიუნებებიათ თავი. ერთი სიტყვით ამ მხარეში სწავლა განათლების საქმე სამწუხარო მდგომარეობაშია. ამ საქმეს, ჩემის აზრით, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა

«წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ» და უნდა ეცადოს, რომ კელავ აღადგინოს ლტოლვილება სამშობლო ენისადმი. ამ საქმეს მით უმეტესი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ამ მხარესთან მოკრულნი არიან: ბერძნები, სომხები, თათრები და ყველა ესენი ისე სჩაგრავენ ქართველებსა და მათი გაუნათლებლობით ისე სარგებლობენ, რომ ლამის ქართველი გლეხების სოფლები ხელში ჩაიგდონ და ქართველები კი გამოაძევონ მათი სამკვიდრო ადგილებიდგან. ბერძნებს აქ მეტი სიმძლავრე გამოუჩენია. სოფელ წალკაში ქართველებისაგან აშენებული ეკკლესიაა. ამ ეკკლესიის კედლებზე ბევრი წარწერები ყოფილა ქართულს ენაზე, მაგრამ ყველა ეს წარწერანი ბერძნებს წერაქვით ამოუშლიათ. ქიდევ კარგი, რომ ზოგიერთი ეს წარწერანი გადმოუღიათ ამას წინეთ და ჩვენი ისტორიკოსის დ. ბაქრაძისათვის წარუდგენიათ თბილისში. ბარდა ამისა ბევრი სხვა ძველი ნაშთებიც აუოხრებია. ოარ ადგილას აქ ორი ძველი მონასტერი დაუქცევიათ და მათი ქვები სახლების ასაშენებლად უხმარიათ. ამ დაქცეულ მონასტრებში შესანიშნავი ყოფილა სოფ. ქობენის მონასტერი, რომელიც გადახატული და დაბეჭდილი აქვს აკადემიკოს ბრიმეს თავის მემუარებში და როგორც ნახატისაგან სჩანს, ეს მონასტერი დიდი უხარ-მაზარი ყოფილა.

მიწის ნიადაგი აქ ძალიან ნაყოფიერია და ამიტომ აქაური გლეხ-კაცობა მიწის მუშაობას ძალიან მისდევს. არც ერთ საქართველოს კუთხეში არ მოდის ისეთი მშვენიერი პური, როგორც აქ და ამიტომაც აქ უმეტესად პურსა სთესენ. ძალიაც არ იცის აქეთკენ ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, ჩემის აზრით, რომ სომხეთში გრილი ჰაეა.

თბილელი.

სენაკის მაზრიდამ.

ჭალადიდის საზოგადოება შესდგება 380 კომლისაგან. ამათში 40 კომლამდე თავად-აზნაურები არიან და დანარჩენი გლეხები. თავად-აზნაურებს და გლეხებს შორის არსებობს თანხმობა და სიყვარული. ხშირად იმ საზოგადოებაში, სადაც თავადაზნაურები და გლეხები სცხოვრებენ, დიდი უთანხმოება, შური და დავა არის მათ შორის, მაგრამ აქ ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა.

მთელს ამ საზოგადოებაში, რომელიც ექვსი სოფლისაგან შესდგება, კი მოსავალი იცის. მოსავალს გარდა აქ მშვენიერი ტყეებია, რომლებიდგან მრავალი სხვა-და-სხვა საშენებელი ხის მასალა გააქვთ. სხვა საზოგადოებიდამ აქ ბევრი გლეხები ესახლებიან, რადგან ამ საზოგადოებაში სახნავ-სათესი მინდვრები ბლომათ არიან.

თუმც ეს საზოგადოება 380 კომლისაგან შესდგება და მასთან შეძლებული გლეხებიც ბევრია აქ, მაგრამ აქ ერთი სასოფლო სკოლაც არ არსებობს. მართალია 1876 და 1877 წლებში იყო აქ ერთი სასოფლო სკოლა, რომელიც სახალხო სკოლების დირეკტორის, განსვენებული ტროეს განკარგულებით დაარსდა, მაგრამ სკოლამ ვერ იხეირა.

რადგან ამ საზოგადოებაში არც სასოფლო და არც სამრევლო სკოლა არ იყო, ამიტომ 1884 წელში, ივნისის თვეში სენაკის საბლაღოჩინო ოლქის ბლაღოჩინმა დეკანოზმა ი. სისორდიამ მოახდინა ყრილობა საქორქოო ჭალადიდის ეკკლესიაზე და შეკრებილს საზოგადოებას განუმარტა სწავლა-განათლების მნიშვნელობა და სთხოვა საზოგადოებას შემწეობა სამრევლო სკოლის დაარსების საქმეში. საზოგადოებამ დიდის სიხარულით მოისმინა მ. ბლაღოჩინის სიტყვები და აღუთქვა მას შემწეობა, თუ მასწავლებლად ხეირიანი კაცი იქნებოდა მოწვეული. თუმც სკოლის საქმეს მაშინვე შეუდგნენ, მაგრამ ადგილობითი ეკკლესიის უწინდელი მღვდლის დაუდევრობისაგან სკოლას აქამომდე ვერ ეღირსეთ.

ამა წლის 14 მაისს ბლაღ. დეკანოზმა სისორდიამ მოახსენა ყოველად სამღვდელო ბაბრიელს, რომ მის მეუფებას, ძალისა გამო სამრევლო სკოლების წესდებისა, ნება მიეცა ჭალადიდში სამრევლო სკოლის დაარსებისა და მასთან ბლაღოჩინმა სთხოვა ყოველად სამღვდელოს, რომ ამ სამრევლო სასწავლებელში მასწავლებლად გადმოეყვანა მედავითნე რომანოზ ჩოჩია, რომელსაც ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის კურსი შეუსრულებია და ეს ათი წელიწადია, რაც ის სასოფლო სკოლებში მასწავლებლად იმყოფება. ყოველად სამღვდელომ ბლაღოჩინს ნება რთვა მისცა სკოლის დაარსებაზედ და მასთან მასწავლებლად გაამწესა ზემოთ მოხსენებუ-

ლი პირი, რომელიც აკურთხა მთავარ-დიაკვნად და მასთან ვალად დაუდგინა მას, რომ საქორქიო ჯალადიდის წმ. ბიორგის ეკკლესიაზე სკოლა დაეარსებია. მთავარ-დიაკონმა 9 ენკენისთვიდამ გახსნა სკოლა და დღეს ამ სკოლაში რამოდენიმე უმაწვილი სწაელობს.

შენიშვნა.

ბითქმის ყოველ წლივ საქართველოს სხვა-დასხვა კუთხეებში სალოცავების დღეობები არის ხოლმე, რომლებზედაც იკრიბებიან მრავალნი მლოცველნი. დღეობაში დამსწრე ნახავს მლოცველებს ყველა ნაირ ტომთაგან: ქართველებს, ოსებს და თვით ლეკებსაც, რომელნიც ურმებით ხიზნითურთ ძალიან შორი ადგილებიდამ მოდიან. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ყველა ეს ჩვენ მამა-პაპათ მაღალ სარწმუნოებას და ზნეობას არ გვიმტკიცებს?—რასაკვირველია.

დღეს დროება შეიცვალა. მხურვალე მამა-პაპისეული გრძნობა ციდება ჩვენში და სარწმუნოებას ინდეფერენტულად ეუცქერით. ჩვენ სალოცავებში მამა-პაპანი მიდიოდნენ სალოცავად, მხოლოდ ჩვენ ვინახულებთ ხოლმე დღეობებს განსაკუთრებით საქეიფოდ. ძველი ქართველიც, რასაკვირველია, დღეობებში ლხინობდა, მღეროდა, მაგრამ მღეროდა იმისთანა სიმღერებს, რომელნიც შეჰფეროდნენ ალაგს და დროს. «წმიდა ბიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო» ძველი ქართველისა ეხლა თანამედროვემ შესცვალა «ავანთოთ შუშის ფარანი»-თ. ძველი ქართველი ლხინობდა, ცეკვობდა და ჭიდაობდა მაშინ, როდესაც წირვა გათავდებოდა და როდესაც მისი რელიგიური გრძნობა დასტკბებოდა ხოლმე ლოცვით, თანამედროვე კი იმ დროს ქეიფობს, როდესაც ეკკლესიაში სამღვდელო პირნი სწირავენ. ერთის სიტყვით ჩვენი დღეობების აწინდელი ხასიათი სრულიად აღარ წაგავს ჩვენ მამა-პაპათ დღეობების ხასიათს.—ამისთანა შეთბეჭდილებანი გამომყვნენ მე, როდესაც დავესწარი გურისთობას (ქართლში).

25-ს აგვისტოს გავემგზავრე სოფელს ალბოს, სადაც ხსენებული დღეობა იციან. წირვას მიუსწარ. შევედი ეკკლესიაში, მაგრამ რას ვხედავ?—ეკკლესიაში სდგას მხოლოდ რამდენიმე ვლეხი თავის ცოლ-შვილით. მიდექი ცოტა ხანს, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ გამიგია მღვდლისა. მოქეიფეთა სიმღერანი, ვაჭრების ყვირილი და სხვ. ერთს საშინელს ხმაურობად გარდიქცეოდნენ ხოლმე და კაცს მთლად დააყრუებდნენ. ზამოვბრუნდი ეკკლესიიდამ: ზედ ეკკლესიის კარებშივე ხარაზები საშინელის ძახილით იწვევდნენ თავიანთკენ მყიდველთა; იქვე, იმათ ახლო მოთავსდა «მეგარმონე»—მის შემდეგ კარავებში მოქეიფე ხალხი. იქვე საშინელის ხმაურობით გაიმართა ჩხუბი, ლანძღვა-გინება და შემდეგ ცემა-ტყეპაც. შორი-ახლოს თავადიშვილობა აჭიდავებდა ფალავნებს და მათ გარშემო შემორტყმოდა უსაქმო ხალხი და... ეაცს თვალში ეჩხირებოდა რამდენიმე ანაფორიანი... ერთის სიტყვით ყველას დაჭვიწყებოდა, რომ ისინი მოვიდნენ სალოცავში სალოცავად, რომ მეტად არ შეეწუხებინათ თავი «მსოფლიო ზრუნვით»...

ხამწუხაროა ყველა ეს, სამწუხაროა და თანაც საკვირველი მოვლენაა. ეისი და რის ბრალია ეგეთი განწყობილება ეკკლესიისა და ხალხის შორის: მღვდლისა, თუ თვით ერისა?—ერთისაც და მეორისაცა, ვფიქრობთ ჩვენ და მასთან, სამწუხაროდ, საჭიროა თითქმის პოლიტიური ზომების ხმარება მისთვის, რომ ხალხმა დღეობებში ეკკლესიაში მოისმინოს წირვა და მხოლოდ შემდეგ მიჰყოს ხელი ქეიფს. მასთანვე საყვედურის თვალით უნდა გადავხედოთ თანამედროვე სამღვდელოებას, რომელიც კარგა უკან ჩამორჩა უწინდელს სამღვდელოებას, და მრისხანე თვალი უნდა გადავაველოთ ჩვენთ თანამედროვეთა, რომელთშიაც აღარ მოიპოვებიან ზოგიერთნი საჭირო ღირსებანი მამათა ჩვენთა და რომელთაც სულ სხვა ნაირად ესმით: ზნეობა, პატიოსნება და სიმართლე...

ნეტა როდის იქნება, რომ ხორციელი მხარე ჩვენის არსებისა დამარცხებულ იქმნას სულიერისაგან და მდაბალმა, პირუტყუულმა მოთხოვნილებამ და მიდრეკილებამ ალაგი დაუთმონ მაღალ, სულიერ მოთხოვნილებათა?!...

გიორგი ლიახველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსური ლეგენდები.

I.

ოსების ღმერთი ვასჯირჯი უწინ იმყოფებოდა ზეცაში; მაგრამ, როდესაც ოსებს ძალიან აწუხებდნენ სხვა და-სხვა ხალხნი, მაგალ. ყაბარდოელები, ვასჯირჯი ჩამოვიდა ქვეყნად, რომ თავის ხალხს, ოსებს, მიშველებოდა. საცხოვრებლად ვასჯირჯიმ აირჩია მაღალ-ძუარი, ხოლო ცხენი მისი იმყოფებოდა ბუდისის მთის წვეროზე. ვასჯირჯის საჭმელს მოუტანდნენ ხოლმე მტრედები. ძლიერ ერდგულად იყო ვასჯირჯი ოსებზე. როდესაც ოსს რამე გაუჭირდებოდა, იგი მაშინათვე მოიწვევდა ვასჯირჯის და უკანასკნელი მაშინვე თავის ცხენზე გადმოეცხადებოდა ხოლმე გაჭირვებულს და შველოდა მას, მაგრამ ერთმა შემთხვევამ გაჯავრა ვასჯირჯი, რომელიც შემდეგ ისევ ცაზე ავიდა და მის შემდეგ ქვეყნად ჩამოვა ხოლმე, როგორც მხოლოდ სტუმარი.

ორბოზალას მთის წვეროზე მრავალი თეთრი ქვა ჰყრია და მათ შუა ამაღლებულია ერთი უფრო დიდი შავი სიპი ქვა. ხალხი ამბობს, რომ ეს უკანასკნელი ქვა ყოფილა მემცხვარე, ხოლო თეთრი ქვები ცხვრები ყოფილან.

დიდი ხანია მას აქეთ. ერთს დილას ადრე მემცხვარეთა ბასილ და მამასირ ტეხაშვილებმა არეკეს თავისი ცხვრები ორბოძალას მთაზე. ამ დროს ბასილას და მამასირას მოუვიდათ ლაპარაკი ერთმანეთში იმაზე, თუ რას უზამენ იგინი უიარაღოდ მგლებს, უკეთუ უკანასკნელნი დაეცნენ მათ. ბასილა ამტკიცებდა, რომ მას შეუძლიან იმ შემთხვევაში ვასჯირჯი გამოიხმოს, მაგრამ მამსირა არ უჯერებდა მას.

— აბა მაშ თუ შეგიძლიან, გამოიხმე ვასჯირჯი, —უთხრა მამსირამ ბასილას. გაჯავრდა ძალიან ბასილა მამსირას ურწმუნოებაზე და მოინდომა დეემტკიცებინა მისთვის სიმართლე თვისი სიტყვებისა.

— ოქროს-წვეროსანო ვასჯირჯი! შეღრიალა ბასილამ, მიშველე რამე, თორემ ტყის ნადირებმა შემჭამეს ჩემის ცხვრებითურთ! ამ სიტყვების შემდეგ გამოჩნდა ვასჯირჯი ჩოხით, მთლად იარაღში ჩაჭედილი, თავის თეთრ ცხენზე.

— რისთვის მიხმობდი?—ჰკითხა ვასჯირჯიმ მეცხვარეს. არ იცოდა რა ეპასუხა ბასილას და მხოლოდ გიჟურად გადიხარხარა...

— «წყეულ იყავ!» სთქვა ვასჯირჯიმ და ამის შემდეგ ბასილა თავის ცხვრებით გაქვავდა, ხოლო ვასჯირჯი მოშორდა ცოდვიან ქვეყანას.

II.

ნართელების ბაირაჯა ძალიან განთქმული იყო. ღმერთმა დაასაჩუქრა იგი დიდის ძალით. ვასჯირჯიმ აჩუქა მას თავის თეთრი ცხენი, მხოლოდ ზეციერმა მეჭედელმა საფომ მოუმზადა მას ყველა იარაღი. არავინ იყო ბაირაჯისთანა ძალოვანი. აღარავინ დარჩა ბაირაჯას ძაეკაზში დაუმარცხებელი. არ იცოდა ბაირაჯამ ამის შემდეგ რაზე მოეხმარა თავის ძალ ღონე და აი იმან გამოუცხადა ომი თვით ანგელოზებსაც, რომელნიც ბრუთი—საბძლის წვეროზე იმყოფებოდნენ. ვერაფერს გახდნენ ანგელოსთა შვილდ-ისარნი ბაირაჯას წინაშე. თვით ბაირაჯა კი ჩაადებინებდა თავის თავს ზარბაზანში ტყვიის მაგიერ, ამის შემდეგ გაასროლინებდა ზარბაზანს ბრუთი—საბძლის წვეროსაკენ და ეგრე ხოცდა ანგელოზებს. შესწუხდნენ უკანასკნელნი და გაემგზავრნენ ზეცისაკენ ვაჩილლასთან საჩივლელად. იქ შესჩივლეს ვაჩილლას, რომ უბრალო მამაკაცი ბაირაჯა მოსვენებას არ გვაძლევსო. ვაჩილლამ პირობა მისცა, რომ პირველ შემთხვევაშივე შევატყობინებ მას, თუ რა ძალა აქვსო. აი შემთხვევაც გამოჩნდა: ნარელმა ხეთაგამ გამოუცხადა ბაირაქას გამოსულიყო მასთან საჩხუბრად, რომ თავიანთი ძალ-ღონე შეეტყოთ. დიდხანს ებრძოლა ხეთაგა ბაირაჯას, მაგრამ ბოლოს ძალიან დაიღალა და შეწუხდა. არ იცოდა როგორ დაეხსნა ხეთაგას თავი თვისი ბაირაჯისაგან და გაექცა. ბამოუდგა მას ბაირაჯაც და სდევნა დილიდამ დაწყობილი ეიდრე საღამომდე. ძლიერ დაიღალა ხეთაგა... აგერ მოსჩანს «შავი ხევიც», რომლის გადაღმაც გაშლილია დაბურული ტყე დარომელშიაც დამალვას ფიქრობდა ხეთაგა, მაგრამ იგრძნო საცოდავმა, რომ დაქანცული ვერ შესძლებს «შავი-ხევის» გადასელას და იგი უეჭველად მოკლულ იქმნება ბაირაჯასაგან.

— ტყისკენ, ხეთაგ, ტყისკენ! ბაისმა ბუნებაში ხმაურობა.

ხეთაგა ტყემდე ვეღარ მიაღწევს, თუ ისევ ტყე ხეთაგთან მოვა თორემ! ბაიძახა ხეთაგამ და უცბად მას შემოერტყა დაბურული ტყე *). ბამს შემოი-

*) ჩრდილოეთი ოსეთში იმყოფება ეხლაც ტყე, რომელსაც ხალხი «ხეთაგას ტყეს» ეძახის, ამ ტყის მოჭრა არავის შეუძლიან. ტყეში მრავალი ნადირი და ფუტკარია. მონადირენ შეუძლიანთ დახოცონ ნადირი, მაგრამ ტყეშივე უნდა სჭამონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღურბლა და ვაჩილლამ სტყორცნა ისარი ბაირაჯას, რომელიც იქვე გარდაიქცა და მოკვდა. მაგრამ სიკვდილის შემდეგაც არ მოასვენა ბაირაჯამ ანგელოზები. ბაირაჯას მცხედარი დაიმალა და საშინელნი სუნი აჩრჩობდა ანგელოზებს. მაშინ უკანასკნელი ისევ მიიქცნენ ვაჩილლისადმი საშველელად და უკანასკნელმა ასწავლა ანგელოზებს ბაირაჯს გვამი გარდაეგდოთ ბირალა-ზანგის წვერიდამ. ანგელოზებმა შეასრულეს ეს და მის შემდეგ აქომამდე ბირალ-ზანგის ხევიდამ საშინელი მყრალი სუნი ამოდის **).
«ამას აქეთ ამბობს ხალხი, რაც ბაირაჯა მოკვდა, ქვეყანამ მოისვენა. მას შემდეგ ოსებმაც დაიწყეს ხვნა-თესვა»...

III.

დიდი ხანია მას აქეთ; ჯერ კავკაზის მთებზე თოვლი არ მოსულიყო. როდესაც ოსები დაეცნენ გურჯისტან (საქართველოს), ააოხრეს იგი და მრავალი ტყვე დედაკაცები თან წამოიყვანეს. ტყვეთა შორის გამოჩნდა ერთი ძუძუმწოვარა ბავშიც (ქალი), რომელიც ოსებმა გზაზე გადააგდეს. განშორებულ უდაბნოში ბავშის ტირილი მოესმა ირემს, რომელმაც აიყვანა იგი და თავის ძუძუთი გაზარდა. გაიზარდა ქალი, დაერქვა თამარ და ცხოვრებდა იალბუზის წვეროზე. თამარს შეპყრობილი ჰყავნდა ცისკარი და ამიტომ თოვლი არ მოდიოდა მთებზე. უკეთუ ცისკარი გაშვებულიყო, მაშინათვე თოვლი მოვიდოდა. თამარმა ერთხელ მოინდომა გურჯისტანი დაეთვალიერებინა და ცისკარი ჩააბარა თავის მამალს ერთად-ერთს ამხანაგს. სამწუხაროდ მამალმა ვერ შეიკავა ცისკარი და გაუშვა. ამის შემდეგ მოვიდა დიდი თოვლი და თამარი ველარ ავიდა იალბუზზე. თამარმა დასწყევლა იალბუზი და სთქვა: «შენი წვერი სულ გათეთრებული იყოსო» და ეს ასეც მოხდა. თამარი დაბრუნდა გურჯისტანში და დედოფალი გახდა, «ხოლო მამალი კი, ამბობს ხალხი, აქამომდე იმყოფება იალბუზის წვეროზე და დილის რაჟრაჟზე, ამოვა თუ არა ცისკარი, სამჯერ დაიყივლებს ხოლმე, მის ყივილს ბანს აძლევენ ყველა მამლებიცო».

IV.

საღამოს ჟამს მთებს ყვითელი მზის სხივები მოეფინებიან ხოლმე. ამ სხივებს ოსები «მკვდრების მზეს» ეძახიან და აი ამისი ახსნა: ნართელის ურიზმაგის შვილი თოთრაძი მოჰკლეს ჩაბარდოელებმა. ამის შემდეგ თოთრაძის სული გაემგზავრა ჯოჯოხეთში (ოსებს თავიანთი მკვდრების სულები სულ ჯოჯოხეთში, ანუ ზინდონში მოუთავსებიათ, მაგრამ აქაც ზოგნი იტანჯებიან, ზოგნი არა) ბარასტირთან (ჯოჯოხეთის ღმერთია) და სთხოვა ალაგი მიეცა მისთვის. წაიყვანა ბარასტირმა თოთრაძი და უკანასკნელი ხედავს ცოლ-ქმარს, რომელნიც ტიტლიკანები წვანან, ერთი მოკლე საბანი ხურავთ და არა წვდებათ, ხან ერთი გაითრევს თავისკენ საბანს, ხან მეორე.

— ეგ რა ამბავია? ჰკითხა თოთრაძმა ბარასტის.

— ეგ იმისთანა ცოლ-ქმარი არიან, რომელთაც მრავალი სარჩო ჰქონდათ, მაგრამ ხარბნი იყვნენ და გაუმაძღარნი. გაიარა კიდევ თოთრაძმა და ჰხედავს: გაშლილია მშვენიერი სუფრა, ერთს მშიერს სურს დასწვდეს სუფრას, მაგრამ მეორე ხანჯალით ხელში აუ უშვებს.

— ეგ რა ამბავია? ჰკითხა თოთრაძმა ჯოჯოხეთის ღმერთს.

— ეგ იმისთანა კაცია, რომელსაც თავის სიცოცხლის დროს არ უყვარდა სტუმრების მიღება და მშიერს არ აჭმევდა. ბევრი ამისთანა საკვირველებანი ნახა თოთრაძმა, სანამ ბოლოს ბარასტირმა ალაგი არ დაუნიშნა მას.

დაჰყო რამდენიმე ხანი თოთრაძმა ჯოჯოხეთში, მაგრამ როგორც ჯერედ ყმაწვილს მოაგონდა თავისი დედ მამა, მივიდა ბარასტირთან და უთხრა: «ცოტა ხანს გამიშვი, ქვეყანაზე ავირბინო. ჩემს დედ-მამას ვნახამ და ისევ დავბრუნდები უკან.» შეებრალა ბარასტირს პატარა თოთრაძი და გაუშვა ქვეყანაზედ მცირე ვადით, მხოლოდ მზის ჩასვლამდე კი უნდა დაბრუნებულიყო, თორემ ჯოჯოხეთის კარებს დაჰკეტავდნენ და ალარ შემოუშვებდნენ. გაიგეს თუ არა ჯოჯოხეთში, რომ თოთრაძა შინ გაუშვა ბარასტირმაო, მაშინათვე უკანასკნელს შემოერტყნენ მრავალნი ძუძუ-მწოვარა ყმაწვილები და ტირილით ეხვეწებოდნენ გაშვებას ზოგი დედის სანახავად, ზოგი ძმისა და სხვ.

— არ შეიძლება! შეიღრიალა ბარასტირმა და საბრალო ყმაწვილები გაიფანტნენ აქეთ-იქით. თოთრაძას კი ბარასტირმა უბრძანა ცხენი უკულმათ დეეჭედნა და ისე გაპარულიყო, რომ არავის შეეტყო. თოთრაძაც ასე მოიქცა და ავიდა ქვეყანაზედ. მიუახლოვდა თავის მამის ურიზმაგის სახლს. ურიზმაგას იმ დღეს დიდი წვეულება ჰქონდა. ზამთრის

*) ამ ლეგენდის მთქმელი ორი პირი მარწმუნებდა, რომ იმ ხევიდამ, სადაც ბაირაჯა გადააგდეს, ეხლაც მყრალი სუნი ამოდის. ჩემის ფიქრით ეს სუნი გოგირდის წყლის სუნი უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელი სიცივეები იდგა და თოთრაძამ ცხენი შორი-ახლოს დააყენა და სთხოვა ურიზმაგა ეჩვენებინათ მისთვის, მაგრამ ურიზმაგა გართული იყო სმაში და ვიღაც ძუძუ-მწოვარა ყმაწვილის ნახვის დარდი არ ჰქონდა. რამდენჯერმე განიმეორა თოთრაძამ თავისი თხოვნა, მაგრამ არც ურიზმაგი, არც დედა არ გამოვიდნენ მასთან. საღამო ხანს, როდესაც სტუმრები დაიშალნენ, ურიზმაგა თავის ცოლით გამოვიდნენ თოთრაძასთან და ვინაობა ჰკითხეს.

— ვისიღა დარდი გაქვსთ? უთხრა თოთრაძამ. დროება ძრიელ გამოცვლილა! იმისთანა კაციც კი რუსეთში, როგორც ურიზმაგია, სტუმარს აღარ იღებს. მთელი დღე აქ სიცივით მოვკვდი. მე თქვენი შვილი თოთრაძი ვარ!... ამის შემდეგ თოთრაძმა ცხენით მოჰკურცხლა ჯოჯოხეთისაკენ და თავის დედმამა კი ძრიელ გაოცებული დასტოვა; თითქმის მზე ჩავიდა, როდესაც თოთრაძი მიუახლოვდა ჯოჯოხეთს. შეეშინდა, ჯოჯოხეთის კარები არ დამიკეტონო და შეველა შესთხოვა ღმერთს. ღმერთმაც მის გულისთვის ყვითელი მზე გააჩინა, რომელსაც ეხლა რუსები «მკვდრების მზეს» ეძახიან.

გიორგი ლიახველი.

სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ჩვენ გვწერენ სუხუმიდამ შემდეგ ამბავს: «ოცდა ექვს სეკტემბერს გასტეხეს ქურდებმა აქაური ბატალიონის ეკკლესია. გაიტანეს ერთი ძლიერ დიდი ზანდუკი. ეს ზანდუკი გზაში გაეტეხათ ქურდებს და ამოეღოთ იქიდგან ვეცხლის ბარძიმ-ფეშხუმი და სხვა ვეცხლეულობა: შანდლები და ფული ორას მანეთამდე. ავაზაკები ჯერეთაც ვერ უნახავსთ, მაგრამ იმედია, რომ აქაურ პოლიციას არ დაეფარება ავაზაკები.»

* * *

ოკტომბერის 29-ს ქუთაისის ოლქის სასამართლოში დაიწყეს საქმის გარჩევა იმერეთის ეპარქიის კანცელარიის მდივნის თანამდებობის აღმასრულებელის ესტატე მჭედლიძის მკვლელობაზე. ამ საქმის შესახებ მოწვეულ არიან საკითხავად ორმოცამდე მოწმე.

მოძღვრება

ბავშების ნათლის-ღებაზე ბაპტისტების წინააღმდეგ.

(დასასრული)

სახარების ისტორიაში ვხედავთ ჩვენ ბევრს მაგალითებს, რომელთაგან სჩანს, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბავშებს უბრიდა მშობლების სარწმუნოებას, მონათესავეთა და ახლობელ პირთა სარწმუნოებას შთაუთვლიდა ხოლმე მათ ახლობელ პირთა და ხშირად ამ გვარი სარწმუნოებით ჰკურნებდა ხოლმე კაცთა სასტიკი სენისაგან, გარდა ამისა აღადგენდა მკვდრეთით იმ კაცთა, რომელთაც ეთვლებოდათ ეს სარწმუნოება. ამ გვარად უფალი ჰკურნებს განრღვეულს მისი ცხედარსა ზედა მომტანების სარწმუნოებით და უტევებს მას ცოდვათა მისთა (მათ. 9, 2); კაპერნაუმის ასის თავის სარწმუნოებით ჰკურნებს განრღვეულს მის მონას (მათ. 8,13); იაიროსის სარწმუნოებით აღდგენს მკვდრეთით მის ასულს (ლუკა 8, 50—55); ქანანელი ქალის სარწმუნოებით უფალი ჰკურნებს მის ქალს, რომელიც ბოროტად შემაკეულ იყო (მათ. 15, 22—28). განა უფალს, ყოვლად შემძლეს და ყოვლად მოწყალეს, რომელიც ძალისა გამო სხვათა სარწმუნოებისა, რომელიც ჩაერიცხება სნეულთა და მკვდართა ხორციელად, და რომელიც (უფალი) ჰკურნებს სნეულთა და აღდგენს მკვდართა ერთი სიტყვით, არ შეუძლია იყოს იმდენად მოწყალე და ყოვლად შემძლებელ, რომ აცხოვნოს სნეულნი და მკვდარნი სულიერად? არა, ღმერთს ყოველივე შეუძლია და მისი ზრუნვა არ შეჩერდება (იობ. 42, 2). ის ერთ გვარად ყოვლად შემძლე და ყოვლად მოწყალეა როგორც სხეულის, აგრეთვე სულის შესახებ. მაგრამ რადგან ის სულს ამკობს ხორცზე, ამიტომ უფრო ზრუნავს სულის სიკეთეზე, და მისი მოწყალება, სიბრძნე და ყოვლად შემძლებლობა კიდევ უფრო უკლებელია. რომელმაც ჩვენი სულის საცხოვნებლად თავისი ძე არ დაზოგა სასიკვდინედ, რა ზომას არ იხმარს ხალხის საუკუნო დაღუპვისაგან გამოხსნისათვის? განა მას არ შეუძლია დახსნა, განა ის არ მოინდომებს დაიხსნას კაცი ცოდვებისა და საუკუნო დაღუპვისაგანაც სხვა პირთა სარწმუნოების მათდამი ჩარიცხვით? არა, მას შეუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია დახსნა და კიდევაც იხსნის ხალხს, სხვა პირთა სარწმუნოების მათდამი ჩარიცხვით. ამ გვარად მან მიუტევა ცოდვები განრღვეულს იმ პირთა სარწმუნოებით, რომელთაც მცხედარზე მდებარე მოიტანეს ის (მათ. 9, 2). მით უმეტეს შეშვენის მას დახსნა ბავშებისა ნათლის-ღებით სხვა პირთა სარწმუნოების ჩარიცხვით.

მამა პაპეულ ცოდვებისაგან კაცის გამოხსნის საქმეში სხვა პირთა სარწმუნოების ჩათვლას აქვს დიდი მნიშვნელობა. და მართლაც პირველი ცოდვა და სიკვდილი ყველა მისი შედეგებით განა არ ეთვლება ადამის შთამომავალთაც და ეს ცოდვა მთელი თავის ძალით ერიცხება ბავშებსაც, თუმც მათ არ შეუცოდავსთ მსგავსად ადამის შეცოდებისა. მსგავსად ამისა იესო ქრისტესაგან გამართლება ვრცელდება ყველა კაცზე: ყველას ერიცხება სიმართლე კაცი-ღვთისა, მისი ჯვარზე ვნეება,—ყველას ჩაერიცხება ეს, ვინც კი უარს არა ჰყოფს ცხოვნებას. ვითარცა იგი ერთისა მის შეცოდებისაგან ყოველთა კაცთა ზედა დასასჯელად, ეგრეცა ერთისა მის სიმართლისათვის ყოველთა კაცთა ზედა განსამართლებლად ცხორებისა. რამეთუ ვითარცა იგი ერთისა მის კაცისა ურჩებითა ცოდვილნი შემოჰხდეს მრავალნი, ეგრეცა ერთისა მის კაცისა მორჩილებითა მართალნი შემოვიდნენ მრავალნი. (რომაელ. 5, 18, 19). როგორც ადამის ცოდვამ, რომელიც ეთვლება მის შთამომავლობას, მოახდინა ყოველ კაცზე დასჯა, აგრეთვე სიმართლე იესო ქრისტესი—ახალი ადამისა, ჩაერიცხება რა კაცსა, ამართლებს მას. ამისათვის რატომ არ უნდა მივიღოთ ის ჩათვლა, რომლის ძალით მშობელთა და მიმრქმელთა სარწმუნოება იესო ქრისტის ჯვარცმითი ღვაწლისა ნათლის ღების დროს მიიღების ნაცვლად ნათლის მიმღები ყმაწვილის სარწმუნოებისა და ამ გვარად ნათლის-ღებას ჰყოფს მისთვის მაცხოვნებლად? ყველა ჩვენ ხომ წევრი ვართ ერთი სხეულისა, რომლის თავი არს ქრისტე და ამიტომ ყველას შეგვიძლია და კიდეც მოვალე ვართ ვიზრუნოთ ერთი ერთმანეთზე, უნდა ვიტვირთოთ ერთი-ერთის სიმძიმე (გალატ. 6, 2) და ერთად უნდა ვიმოქმედოთ აღსაშენებლად თავისა ჩვენისა (ეფეს. 4, 16). ეკლესიის წევრთა ამისთანა სიახლოვისა და ზედ მოქმედებისა მიხედვით რა მოუშლის უფრო სუსტთა, რომ ისინიც სცხონდნენ სხვა პირთა სარწმუნოების მათდამი ჩარიცხვით, მათი ნათლის ღების დროს?

მიუბრუნდეთ კიდევ ნათლის-ღების მომასწავებელს—წინადაცვეთას. განვიხილოთ წინა-დაცვეთა მეორეს მხრით და ეს წინადაცვეთა გვიმტკიცებს ჩვენ ყრმათა ნათლის ღების სინამდვილეს და მაცხოვნებლობას იმ გვარადვე, როგორც მოწმობს ის ნათლის ღების საჭიროებაზე... მართლაც, წინადაცვეთა თვით ღვთის სიტყვისა მებრ იყო სასწაულ აღთქმისა ერთის მხრით ღმერთთან და მეორეს მხრით აბრამთან და მის შთამომავლობასთან (შემ. 17, 11), და ღმერთი ითხოვდა, რომ ამ წინა-დაცვეთის საშუალებით დაედვათ აღთქმა ღვთისა მარტო დიდებს კი არა, არამედ შვიდი დღის ყმაწვილებსაც, და შემდეგ აბრამის და მისი შინაურების სიკვდილისა, რომელნიც წინა-დაცვეთილი იქმნენ ასაკში მოსულობის დროს, ებრაელები დაუახლოვდნენ ღმერთსა წინა-დაცვეთის საშუალებით, რომელსაც ასრულებდნენ ისინი თავის თავზე სიყმაწვილეშივე. ვინც კი დარჩებოდა ასაკში მოსვლამდის წინა-დაუცვეთელი, მისი სული მოისპობოდა ნათესავთა შორის, რადგან ის განაქარვებდა ღვთის აღთქმასა. ორივე მხარე, რომელიც პირობასა სდებენ, ერთმანეთში სთანხმდებიან, უნდა მოქმედობდენ გაგებით? უსათუოდ ორივე მხარემ უნდა იცოდეს აღთქმის საფუძველიც, მისი პირობებიც და მოვალეობაც, რომელსაც ეს აღთქმა სდებს მათზე, ამბობენ ბაპტისტები. ბაპტისტების შეხედულობით ებრაელთა ყმაწვილების წინა-დაცვეთა არ შეიძლებოდა, რადგან მათ არ ესმოდათ აღთქმა, რომელიც უნდა დაედოთ მათ ღმერთთან წინა-დაცვეთის საშუალებით. მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ? თვით ღმერთი ბრძანებს, რათა ყველა ებრაელის ყმაწვილებმა მიიღონ მისი აღთქმა დაბადებიდგან მერვე დღემდე, წინააღმდეგ შემთხვევაში წინა დაუცვეთელთ მოელოდა სიკვდილი. ბაპტისტები, ამასა ბრძანებს ღმერთი, რომელსაც თქვენ არ უნდა ეცილებოდეთ მისი საიდუმლოების და კაცის სულის საიდუმლოების ცოდნაში, სიბრძნეში და მოწყალებაში, ღმერთი ითხოვდა ებრაელის ყმაწვილების წინა-დაცვეთას იმიტომ, რომ მათი ღმერთთან აღთქმის სინამდვილეზე თავდებობდნენ მათი მშობლები და მშობელთა სარწმუნოება იხმარებოდა ნაცვლად წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვეთილთ ურმათა სარწმუნოებისა. და უმაწვილებისაგან ღვთის ადთქმის მიდება მათი მშობლების სარწმუნოებით ირიცხებოდა ჭეშმარიტად და ნამდვილად. განა ეს არ უჩვენებს ურმათა ნათლის ღების სინამდვილეს და მაცხოვნებლობას? თუმცა ებრაელის უმაწვილებს წინაცვეთის დროს ჩაერიცხებოდათ მათი მშობლების სარწმუნოება და მორჩილება ღვთისადმი და მშობლების ნება-რთვა თუ საკმაო იყო, რომ ბავშებს მიეღოთ ღვთის ადთქმა, მამ რატომ არ უნდა ჩაეთვალოს ქრისტიანეთა ბავშებს ნათლის-ღების დროს სარწმუნოება მათი მშობლებისა და მიმრქმელთა? ეს ჩათვლა განა მით უმეტესად საჭირო არ არის, რომ ქრისტიანე მშობელთა შვილები, თუ ისინი მოჭკვდებიან უნათლავად, უფრო სასტიკ სიკვდილს მიეცემიან, ვინემ იყო ის სიკვდილი, რომელსა უფალი უქადდა ებრაელთა წინადაეცვეთელ ურმათა, რადგან ისინი მიეცემიან სულიერ სიკვდილს და მოაკლდებიან საუკუნო ნეტარებას? ამ გვარად თვით ღმერთი გვიჩვენებს ჩვენ ძველი ადთქის წინა დაცვეთის კანონში, რომ მისი ადთქმის მისაღებლად საკმაო იყო ბავშებისთვის მათი მშობლების სარწმუნოება და ეს ადთქმა იყო ნამდვილი ადთქმა. განა ამ ნათლის ღების მომასწავებელ წინადაცვეთის კანონით მიცემული არა აქვს ქრისტიანულ ეკლესიასს თვით ღვთისაგან მცნება, რათა მშობლების და მიმრქმელთა სარწმუნოების ჩარიცხვით ნათელ-ღონ ბავშებს, რომ ამ ნათლისღებით შევიდნენ ისინი ღვთის სასუფეველში?

ბოლოს ნუ დავიიწყებთ იმასაც, რომ სარწმუნოება ნათლის-მღებელთა, როგორც დიდების, აგრეთვე ურმათა განსხვავდება თავისი არსებით კი არა, არამედ თავის ფირსებით. მართლაც, ნათლის-მღებელის და დიდი კაცის სარწმუნოება არ არის ისეთი სარწმუნოება, რომელიც იყოს ნაყოფი სულისა (გალატ. 5, 22(, რომელიც გამომხატველია სულიერი ცხოვრებისა, განახლებულს და მადლიანისა და რომელიც დაიწყება შემდეგ ნათლის-ღებისა და მირონცხებისა. არა, ნათლის მიმღების სარწმუნოება არის მხოლოდ ნიშანი ქრისტიანული ჭეშმარიტების გაგებისა, ნიშანი რომ ნათლის მიმღები მოსურნეა საიდუმლოს მიღებისა, რომ ის არ უარყოფს მას, არ განედგება მას. ღვთის სასუფეველში შესვლის არ უარ ყოფს აქვს სხვადასხვა ხარისხი. შეიძლება არ უარ-ჰყო გაგებით და თავისუფლად, მაგრამ ყოველივე ამას ღვთის მადლის მიღების შესახებ აქვს ერთი და იგივე მნიშვნელობა. ღვთის მადლი მოქმედებს კაცზე მაშინაც კი, როცა ის გაგებით და თავისუფლად არ მოქმედებს. ცხადი მაგალითები ამ ღვთის მადლის მოქმედებისა მაშინაც კი, როცა გაგებითაც არ მოქმედობ და არც ეწინააღმდეგები მას და ცხადი დამტკიცება ჩვენი ნათქვამის სინამდვილისას ჩვენ ვხედავთ ღვთის მადლის მოქმედებაში არა მარტო ბოვშებზე, რომელნიც უკვე დაიბადნენ ქვეყნად, არამედ იმისთანა ბავშებზედაც, რომელნიც ჯერ კიდევ დედის მუცელში იმყოფებოდნენ. ამ გვარად უფალმა ღმერთმა, პირთა ურმათა ჩაიღოთ მწოვართა, რომელნიცა დაღადებდენ და ეტყოდენ იესო ქრისტეს: ოსანნა ძეო დავითისო! დაამტკიცა ქება საკვრდლისა ძისა თვისისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (მათ. 21, 15—16). უფალმა დაამტკიცა ესე ქება,—ამბობს ამ შემთხვევაზე ფსალმენთ მგალობელი (დავით. 8, 3), ღმერთის სიტყვებს ამტკიცებს უფალი ჩვენი იესო ქრისტეც. ამიტომ, ნამდვილად, ეს ურმათა ქება იყო თვით ბავშებისაგან კი არა, რომელნიც აქებდნენ ქრისტეს მსგავსად თვისთა მშობელთა, არამედ ღვთის მადლის ძალით, მათზედა გადმოვლინებულისა. უფრო განსაცვიფრებელია ღვთის მადლის მინიჭება ურმათადმი, რომელნიც უკვე იყვნენ თავის დედის მუცელში და ამ მადლის მათში ხილული მოქმედება. პირველ ადრეულადე მუტლსა შინა და პირველ გამოსვლისა განგუშინდე შენ წინასწარმეტყველად ნათესავისა მიმართ დაგდეგ შენ (იერემ. 1,5). უფრო წინა დროებში იერემიამდე, მსაჯულთ დროს, უფალმა უთხრა მანოიას ცოლს, როცა ახარა მას შესანიშნავი შვილის მსაჯულის სამსონის დაბადება: «შენ ეგერა ბერწ ხარ და არა გიშობიეს, ხოლო აწ მიუდექ და შევ ძე. არამედ ეკრძალე, ნუ სვამ ღვინოსა და თაფლსა და ნურცა შჭამ ყოველსავე არა წმიდისა. რამეთუ შენ მუცლად იდე და შვე ძე და რკინა თავსსა ნუ შეეხებიან, რამეთუ ნაზირი ღვთისა იყოს ურმა იგი შობიდგან მისით და მან იწყოს განრინებად ისრაელისა ხელთაგან თილისტიმელთაგან»(მსაჯ. 15, 3—5). და აი ღვთის მადლმა, რომელიც გადმოვიდა სამსონზე და იერემიაზე თვით დედის მუცელშივე, შექმნა პირველი იზრაილთა პირ

ველ მსაჯულად, ხოლო მეორე დიდ წინასწარმეტყველად: ასე იმოქმედა ღვთის მადლმა მათზე, თუმც ეს მადლი იყო მიღებული იმისთანა პირებისაგან, რომელთაც წინააღმდეგობა არ გაუწევიათ მისთვის, მაგრამ მათ არც შეგნებული სარწმუნოება ჰქონდათ. უფრო საოცრად გამოიჩინა თვისი ძალა ღვთის მადლმა უფლის წინა მორბედზე იოანეზე. აღვსილი სულითა წმიდითა მიერვე დედის მუცლით მისითგან (ლუკ. 1,15), და მან ყრმამან იოანემ, რომელიც უკვე იმყოფებოდა მუცელსა შინა დედისა თვისისა, ხმაჰყო მის დედასთან—ელისაბედთან მოსულს ქალწულ მარიამ—ღვთის დედას, კრთებოდა ყრმა ესე სიხარულით მუცელსა ჩემსა (ლუკ. 1, 40—44). განა ეს მოწმობანი განსაცვიფრებელნი არ არიან, როდესაც ღვთის მადლის ძალა მოქმედებს ბავშებზედაც, რომელნიც ჯერ კიდევ თავის დედის მუცელში იმყოფებიან და ჩასახვის დროსვე მათ განსწმენდს და ჰქმნის ღვთის მოსამსახურედ, აღმასრულებლად ღვთის ნებისა, მახარებლად ღვთის სიბრძნისა? რატომ აღარ უნდა ვირწმუნოთ ის ჭეშმარიტებაც, რომ ბავშების ნათლისღებაშიაც გადმოდის მათზე მადლი განახლებისა? განა საფუძვლიანია იჭვი მასში, რომ მეორედ განბანვა, განახლება (ტიტ. 3, 5)—ნათლისღება ნათლის მღებელ ბავშთათვისაც ნამდვილია და ყრმანი შემდეგ მონათვლისა შეიმოსებიან სულის წმიდით? არა; უფალსა ღმერთს, რომელიც აღავსებდა თავის სულით თვისთა ამორჩეულთა კიდევ თავის დედის მუცელსა შინა, შეუძლია აღავსოს და აღავსებს კიდეც მადლის ძალით ყრმათაც, რომელნიც ნათელს იღებენ. თავიანთი მშობლების და მიმრქმელთა სარწმუნოების ჩარიცხვით, მით უმეტეს, რომ ეს ყრმანი თვისი დაბადებით ქრისტიანების ოჯახებში, რომელნიც აღრჩეულნი და უწინვე გამზადებულ არიან შესვლად იესო ქრისტის სასუფეველში, მოწოდებული არიან ქრისტიანული ცხოვრებისათვის.

ჭეშმარიტად ყრმათა ნათლის-ღება საჭიროც არის და ნამდვილიც. ამინ.

პავლე არქიეპისკოპოსი საქართველოისა.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესადადგილი მისცეთ ამ ჩემს ორიოდე სიტყვას თქვენს პატივცემულს გაზეთ მწყემსში» და მასთან გთხოვ, რათა ჩემი ეჭვი ამიხსნათ.

ამ წელში ნათლის-ღების დღეს მე შემხვდა შავი ზღვის პირად ერთ დაბის ორ შტატიან ეკკლესიაში წირვის მოსმენა. დავესწარი აგრეთვე წყლის კურთხევასაც. რიგის მღვდელმა გაათავა ღვთის მსახურება; უბრძანა სტაროსტას საკურთხი წყლის მომზადება ეზოში და როცა მომზადებულ იქნა წყალი, მღვდელი შეუდგა წყლის კურთხევას. მეორე მღვდელი ამ მოქმედებას წინააღმდეგი გაუხდა. ის პირველ მღვდელს ეუბნებოდა: «დღეს, როგორც ნათლის ღების დღეს, რიგი არ არის ეზოში წყლის კურთხევა.» ხმლია უპირატესმა მღვდელმა და შეასრულა მისი მოვალეობა. გურიაში მღვდლებმა თუმც იციან ქართული იმდენად, რომ ერთმანეთს გააგებინონ თავიანთი აზრი, მაგრამ ამ ცილების მოლაპარაკება მათის მხრით მოხდა გურულს ენაზე და ყველას ესმოდა მათი ლაპარაკი. ზოგმა მოსულმა ხალხთაგანმა, რომელიც მოსულიყო ეკკლესიაზე ჩვეულებისა მებრ ჭურჭლებით ნაკურთხი წყლის წასაღებათ, ამ ბაასის შემდეგ წყალი არც კი წაიღეს. ბევრი ამბობდა: «ჩვენ-ჩვენი წყაროებიდგან წავიღოთ წყალიო.» რატომ მოხდა ამ დღეს ეზოში წყლის კურთხევა და ან რომელი მღვდელი იყო მართალი იმ ორში? იმედია ამ კითხვას განგვიმარტებთ.

ნ. ჯ.

წყლის კურთხევა როგორც მწუხრზე, ისე თვით ნათლისღების დღეს წყაროზე ანუ მდინარეზე ერთი და იგივეა. მართლ მადიდებელი ეკკლესიის ღვთის მსახურების ტიბიკონით რიგია, რომ წყალი ნათლის-ღების წინა დღეს, მწუხრზე იკურთხოს ეზოში, მოსაგონებლად კათაკმეველთა ნათლის-ღებისა; ვინაიდგან ძველ დროში მწუხრზე აკურთხევდნენ წყალს მოსანათლავად კათაკმეველთა. (იხილე მეორმოცე სიტყვა გრიგორი ნაზიანზინისა). მეორე დღეს, ნათლის-ღებას წყლის, კურთხევა უნდა შესრულდეს მდინარეზე მოსაგონებლად იესო ქრისტეს ნათლისღებისა იორდანეს მდინარეზე. ამისათვის ეზოში წყლის კურთხევა თვით ნათლის-ღების დღეს არ შეიძლება და წინა დღით, მწუხრზე კი რიგია.

რედაქტორი.

განცხადება.

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

„მწყემსზედ"

და „მწყემსი"-ს რუსულ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1 შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2 გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3 გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4 აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი «მწყემსი» გამოვა თვეში სამჯერ, თორთმეტი გვერდი და ხანდისხან თექვსმეტიც.

რუსული დამატება „მწყემსი"-სავე პროგრამით და მიმართულებით გამოვა თვეში ორჯერ, ორ ფურცლამდე თითო ნომერი.

„მწყემსი" მთელი წლის გაგზავნით—**ხუთი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**სამი მანეთი.**

„მწყემსი"-ს ფასი რუსული თვიური დამატებით ერთი წლისა **ექვსი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ოთხი მანეთი.**

ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა—**სამი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ორი მანეთი.**

წერილებით და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: **Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ" (пастырь).** ყვირილაში, „მწყემსი"-ს რედაქციაში.

შინაარსი: რედაქციისაგან მკითხველებისადმი.—ექსარხოსის მოგზაურობა აფხაზეთისკენ (დასასრული.)—სომხეთიდამ.—სენაკიდამ.—შენიშვნა.—ოსური ლეგენდები.—სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.—მოძღვრება ბაპტისტების წინააღმდეგ (დასასრული).—კითხვის განმარტება.—განცხადებანი.

Доз. цензурою Кутаисъ, 30 Октября 1885 г. რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.